ბატონო დავით,

მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას იმ თანამშრომლობისთვის, რომელიც 2020 წლიდან გვაკავშირებს ქალაქ ბოლნისის მერიასთან ბავშვის უფლებებისა და სოციალური მუშაობის კუთხით ყველაზე მოწყვლადი ოჯახების გაძლიერებისთვის როგორც ინსტიტუციური გაძლიერების, ასევე, კონკრეტულ შემთხვევებზე მუშაობის მიმართულებით.

ბავშვებისა და ოჯახებისთვის ჩვენი თანამშრომლობის განსაკუთრებული დადასტურებაა ბავშვთა შემთხვევის მართვის კოორდინაციის წარმატებული საპილოტე პროექტი, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს 2022-2023 წლებში საქართველოს მთავრობისა და UNICEF/EU-ს მხარდაჭერით. ერთობლივი ძალისხმევის შედეგია არაერთი ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება ბოლნისის მუნიციპალიტეტში.

როგორც მოგეხსენებათ, ზემოთაღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა პროგრამის არსებობის საჭიროება, რომელიც პოზიტიური მშობლობის უნარების გაძლიერებაში გაუწევს მშობლებსა და ბავშვის სხვა წარმომადგენლებს დახმარებას. აღზრდის სუსტი უნარები იწვევს ბავშვის უფლებების დარღვევას: სიტყვიერი ან ფიზიკური ძალადობა, უგულვებელყოფა, არაჰიგიენური პირობები, უკიდურესი სიღარიბე, განათლების ნაკლებობა, ჯანდაცვის საკითხები და სხვა. მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მცირე რესურსის გათვალისწინებით, აუცილებელია პრევენციისა და ბავშვებისთვის უკვე დამდგარი ზიანის მინიმიზაციის შესაძლებლობის გაძლიერება გარე რესურსებით.

NNLE Democracy Development Agency
Tbilisi, 3 Tevdore mgvdeli str.
(+995) 595 850 678
Democracyda@gmail.com

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერის ფარგლებში 2024 წელს ვგეგმავთ პოზიტიური მშობლობის პროგრამის შექმნას გერმანული გამოცდილების საფუძველზე, რომლის მიზანი ბავშვთა უფლებების დაცვა და ოჯახის გაძლიერებაა მშობლებისა და ბავშვის სხვა წარმომადგენლების პოზიტიური მშობლობის უნარების გაძლიერების გზით. მოხარული ვიქნებით, თუ თქვენი მუნიციპალიტეტი, როგორც ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ადგილობრივი თვითმმართველობა ჩვენი პარტნიორი იქნება ამ მეტად საპასუხისმგებლო პროექტის განხორციელებაში. პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ, შედეგების მდგრადობისთვის მნიშვნელოვანი იქნება თუ თქვენი მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზაობას ჩვენს ორგანიზაციასთან პარტნიორობის გაგრძელების შესახებ პროგრამის წარმატების გაგრძელების კუთხით 2025 წლიდან და მიიღებს ყველა ზომას პროექტის დამოუკიდებლად ფუნქციონირებისათვის.

საუკეთესო სურვილებით,

მაია ბექაური

ა(ა)იპ დემოკრატიის განვითარების სააგენტოს

აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

12.09.2023

NNLE Democracy Development Agency
Tbilisi, 3 Tevdore mgvdeli str.
(+995) 595 850 678
Democracyda@gmail.com